საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
LEPL TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY
211328703

დანართი

დამტკიცებულია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

2020 წლის 19 მაისი

№ 23/3 დადგენილებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) სტრუქტურულ ერთეულს.

2. „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, თსსუ-ის წესდებითა და შინაგანაწესით, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით და ამ დებულებით.

მუხლი 2

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ანგარიშვალდებულია ვიცე-რექტორის (მეცნიერების მიმართულებით) წინაშე, რომელიც ახორციელებს მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას დადგენილი წესით.

თავი II. „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 3.

ა) „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციაში მომზადდეს პუბლიკაციები, სადაც აღწერილი იქნება საუნივერსიტეტო ცხოვრება, სტუდენტების აქტივობები და პროფესორ-მასწავლებელთა მიღწევები, უნივერსიტეტის ინტერესში შემავალი სხვა საკითხები და დაიბეჭდოს „სამედიცინო გაზეთში“

ბ) „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციაში შემოსული წერილების გაცნობა, დამუშავება, რედაქტირება და იმ შემთხვევაში, თუ წერილი ექვემდებარება დებულების მე-3 მუხლის ა ქვეპუნქტში გაწერილ ამოცანებსა და ფუნქციებს, მისი გამოქვეყნება „სამედიცინო გაზეთში“

მუხლი 4.

1. „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციის ძირითადი ფუნქციებია:

ა) „სამედიცინო გაზეთის“ პუბლიკაციების მომზადება, შემოსული წერილების რედაქტირება და საბეჭდად მომზადება;

ბ) უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო სამუშაო ჯგუფის / სარედაქციო კოლეგიის შექმნის მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფს „სამედიცინო გაზეთის“ სამეცნიერო / სამედიცინო თემატიკის სტატიების ვიზირებას;

გ) გამოცემული ნაბეჭდი პროდუქციის ფონდის შექმნა და დაცვა;

დ) სხვა ფუნქციები, რომლებსაც უნივერსიტეტი დაადგენს მიზნებიდან გამომდინარე.

2. „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია უფლებამოსილია:

ა) გამოაქვეყნოს კანონმდებლობით სავალდებულო წესით გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია;

ბ) მოითხოვოს ზეპირი ან წერილობითი სახით ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შემავალი სტრუქტურებისგან და შეუფერხებლად მიიღოს ის.

თავი III. „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციის სტრუქტურა, შტატი და მატერიალური უზრუნველყოფა

მუხლი 5

1. „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს და მისი ძირითადი შტატი ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

2. „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციის სტრუქტურა და საშტატო განრიგი ყალიბდება რედაქციის საქმის უზრუნველყოფის ფუნქციების გათვალისწინებით და მას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

3. „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციის სტრუქტურა შედგება:

ა) „სამედიცინო გაზეთის“ რედაქტორი;

ბ) კორესპონდენტი.

4. სტრუქტურის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საშტატო განრიგით, შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს მოწვეული პირი.

თავი IV. „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციის სტრუქტურის ხელმძღვანელი

მუხლი 6.

1. „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციას ხელმძღვანელობს რედაქტორი, რომელიც პასუხისმგებელია მის საქმიანობაზე. რედაქტორი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის წინაშე მეცნიერების მიმართულებით.

2. რედაქტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი, ხოლო თანამშრომლების დანიშვნა და განთავისუფლება ხდება რედაქტორის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით.

3. რედაქტორი უზრუნველყოფს:

ა) უნივერსიტეტის მიერ „სამედიინო გაზეთის“ რედაქციის ფუნქციობისთვის გადაცემული ქონების მართვასა და დაცვას;

ბ) „სამედიცინო გაზეთის“ რედაქციის მუშაობის დაგეგმვას და წარმართვას;

გ) თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, მათი წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ წინადადებების წარდგენას რექტორთან;

დ) „სამედიცინო გაზეთის“ შეუფერხებელ გამოსვლას;

ე) „სამედიცინო გაზეთის“ კორესპონდენტებისთვის ყველა სამუშაო პირობის შექმნას;

4. რედაქტორი სამეურნეო წლის დასრულებამდე არა უგვიანეს 1 თვისა რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს წლიურ ანგარიშს და მომდევნო წლის გეგმას.

5. სამსახურის უფროსის ქონებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები დგინდება შესაბამისი ხელშეკრულების, მიღება-ჩაბარების აქტის და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 7.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქციის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.